აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სერვისის განვითარების სამსახური

ღვინის ტრენინგი ქედაში

24.06.2024 - 26.06.2024

ტრენინგის შესახებ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით აჭარაში არსებული საოჯახო მარნების მეპატრონეებს ჩაუტარდებათ პრაქტიკულ-თეორიული ტრენინგი ღვინის თემაზე „სტუმრებისათვის ღვინის გაცნობა, ღვინის დაჭაშნიკება და ღვინით მომსახურების ძირითადი წესები".

თეორიული - პრაქტიკული ტრენინგის ფარგლებში პროფესიონალი ღვინოთმცოდნეები და მეღვინეები საოჯახო მარნების წარმომადგენლებს გააცნობენ:

- ღვინის ისტორიას
- ღვინის როლს ტურიზმში
- ღვინის დაყენების თავისებურებებს
- ღვინის კერძებთან შეხამების შესახებ ინფორმაციას
- ღვინის მირთმევის (დაჭაშნიკების) შესახებ ინფორმაციას
- ღვინით მომსახურების ძირითად წესებს და ა.შ.

ღვინის ტრენინგი ქედაში ჩატარდება სამი დღის განმავლობაში. ტრენინგის დღიური ხანგძლივობაა 4 საათი. ნახევარსაათიანი შესვენებით ლანჩზე.

აღნიშნული ტრენინგი ხელს შეუწყობს მომსახურების სფეროში ჩვენი რეგიონის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ამ სეგმენტში სერვისის გაუმჯობესებას.